

# აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის განვითარების ცენტრი

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2022 წლის 04 აგვისტოს #01-06-02/35 დადგენილებით


საქართველო, ქ. თბილისი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2022

**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**
**აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის განვითარების ცენტრის**
**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის განვითარების ცენტრის სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში-უნივერსიტეტი) აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის განვითარების ცენტრი (შემდგომში-ცენტრი) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
3. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და ასევე უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით და ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ვიცე-რექტორის წინაშე.
4. ცენტრი შექმნილია უნივერიტეტის „პროფესიული განვითარების, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის ცენტრის“ ბაზაზე, რომელიც შეიქმნა 2006 წელს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის სტატუსით. 2014 წელს ცენტრს შეეცვალა დასახელება და ეწოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრი. უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 17 ივნისის №01-05-17/06 ერთობლივი დადგენილებით, ცენტრი ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულად და ეწოდა კარიერული განვითარებისა და გადამზადების ცენტრი. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2022 წლის 19 მაისის №01-06-02/24 დადგენილებით, ცენტრი ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულის სტატუსით, როგორც **აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის განვითარების ცენტრი.**

## მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის მიზნები, მიმართულებები და ფუნქციები

1. **ცენტრის ძირითადი მიზანია:** უნივერსიტეტის აკადემიური, მასწავლებელთა, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, პროფესიული მასწავლებლების, სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და უზრუნველყოფა.
2. **ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ფუნქციებია:**
ა) უნივერსიტეტის აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის განვითარება სწავლისა და სწავლების უახლოეს მეთოდოლოგიებში;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ამაღლებისა და მოდერნიზების მიზნით, ფონდებთან, ბიზნეს ორგანიზაციებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა; ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა (გრანტების მოძიება, პარტნიორული ურთიერთობები) ჩასატარებელი ტრეინინგების, ვორკშოპების, სემინარების და სხვა ღონისძიებების ხარისხის ამაღლების მიზნით;

გ) კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ცალკეული სტანდარტების განვითარება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ადამიანური კაპიტალის მართვის, საწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტებთან, ფაკულტეტებთან და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობით;

დ) უნივერსიტეტსა და ბიზნეს ორგანიზაციებს შორის მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

ე) უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების შედეგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების საზოგადოებისათვის გაცნობისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

ვ) ტრეინინგ მოდულების შემუშავება და ტრენინგ კურსების განხორციელება;

ზ) სახელმწიფო უწყებებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა ერთობლივი საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით;

თ) უნივერსიტეტის თანამშრომელთა შეფასების, მოტივაციის და ადამიანური რესურსების ეფექტურ მართვასთან დაკავშირებული სხვა სისტემების შემუშავებისა და დანერგვის პროცესში მონაწილეობა;

ი) სხვადასხვა ტიპის სასწავლო კურსების ჩატარება განათლების პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშესაწყობად;

კ) საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, თანამედროვე სწავლების მეთოდების მოძიებისა და დანერგვის ხელშეწყობა;

ლ) უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით, სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების მიმართულებით ტრენერების გადამზადება;

მ) აკადემიური პერსონალის აკადემიური/სამეცნიერო მიღწევებისა და შემოქმედებითი სიახლეების წარმოჩინება გალერეა „უნივერსში“;

ნ) სხვადასხვა სახის კულტურულ/საგანმანათლებლო/შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზება-ჩატარება უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებთან მჭიდრო თანამშრომლობით;

ო) სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების განხილვის ორგანიზება და შედეგების გაზიარება უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის;

პ) უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით, პერსონალის მართვის პოლიტიკის, პერსონალის განვითარების მიდგომებისა და სტრატეგიის, საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროების წინაშე მდგარი თანამედროვე აქტუალური გამოწვევების საფუძველზე ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმის შედგენასა და განხორციელებაში მონაწილეობა უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებთან ერთად;

ჟ) დარგობრივი კონსულტაციების მიღების მიზნით, საერთაშორისო ექსპერტების მოწვევის თაობაზე წინადადებების შემუშავება და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წინაშე წარდგენა;

რ) ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფა ცენტრის შიდა ადამიანური რესურსებით, ხოლო სპეციფიკური ტრენინგების ჩასატარებლად სხვადასხვა ორგანიზაციიდან შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტების მონაწილეობით, დაფინანსების შესაძლებლობების მიხედვით;
ტ) ცენტრის მიერ შეთავაზებულ ტრენინგებზე უნივერსიტეტის პერსონალის რეგისტრაციის მექანიზმის შემუშავება უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;
უ) კანონმდებლობით, რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით, აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) დადგენილებებით განსაზღვრული და ამ დებულების შესაბამისად, თავისი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, ცენტრის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.
3. უნივერსიტეტის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის განსაზღვრული ტრეინინგების და სხვა სახის სწავლებების გავლის წესი და პირობები განსაზღვრულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების წესით, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

**მუხლი 3. ცენტრის მართვა**

1. ცენტრს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ინიშნება უნივერსიტეტის რექტორის მიერ. ცენტრის ხელმძღვანელი უფლებამოსილია:
ა) განახორციელოს კონტროლი ცენტრის თანამშრომლების მიერ მათზე განპირობებული სამუშაოს დროული და სრული მოცულობით შესრულებაზე;
ბ) მოაწყოს ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტების პრეზენტაცია;
გ) განახორციელოს ცენტრის ეფექტური მართვისა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა ყველა აუცილებელი საქმიანობა;
დ) ცენტრის ხელმძღვანელს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ეკისრება პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე.
2. ცენტრის ხელმძღვანელს ჰყავს მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი. ცენტრის ხელმძღვანელის დროებითი არყოფნის, აგრეთვე ხელმძღვანელის დავალების შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს მოადგილე.
3. ცენტრის პერსონალი თანამდებობაზე ინიშნება და თავისუფლდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ.
4. ცენტრის პერსონალის რაოდენობა და თანამდებობრივი რანგირება განისაზღვრება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცებული სტრუქტურისა და საშტატო განრიგის შესაბამისად.
5. ცენტრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ვიცე-რექტორის წინაშე.

**მუხლი 4. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

1. ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ცენტრის ლიკვიდაციის შემდეგ, უნივერსიტეტს უბრუნდება ცენტრის სარგებლობაში არსებული ქონება.

**მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანა**

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 6. დასკვნითი დებულებები**

1. დებულება ძალაში შედის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცების მომენტიდან.
2. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ა/და ცენტრის ლიკვიდაციის შემთხვევაში.